ურთიერთთანამშრომლობის
მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი
შპს „ლიტერა +„ -სა და შპს ‘თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს’ შორის

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ. თბილისი /07 / 07 /2017

შპს „ლიტერა+" (ს/კ: **405137338**) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლიანა კოპალიანის (პირადი N62001025493) სახით და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი", ავტორიზაცია - №23 10.10.2013), წარმოდგენილი მისი რექტორის ვალენტინა საყვარელიძის სახით (შემდგომში – მხარეები) თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე, შემდეგი პირობებით:

1. მიზანი

1.1. მხარეების მიზანია საქართველოს შრომის ბაზრის, მათ შორის საჯარო სექტორის სპეციფიკური მოთხოვნების ადეკვატური, ხარისხიანი უმაღლესი განათლების ხელშეწყობა და გაძლიერება.

1.2. მხარეები მიზნად ისახავენ ამ მემორანდუმის ფარგლებში განახორციელონ პროექტები და პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ პროფესიულ მომზადებას, პრაქტიკული უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების განვითარების გზით მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადების პროცესს.

1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა, ერთი მხრივ, უნივერსიტეტის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, ხოლო, მეორე მხრივ, პოტენციურ დამსაქმებელთა სწავლა/სწავლების პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

2. საგანი

ამ მემორანდუმის მიზნებიდან გამომდინარე,მხარეები თანხმდებიან, რომ:

2.1. უნივერსიტეტი ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების „უცხო ენებისა და თარგმანის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/სრულყოფის პროცესში პოტენციური დამსაქმებლის სტატუსით ჩართავს შპს „ლიტერა+"-ის (ს/კ: **405137338**) წარმომადგენელს, რომელსაც საშუალება ექნება წარუდგინოს უნივერსიტეტის შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს (ფაკულტეტს) რეკომენდაციები და წინადადებები;

2.2. შპს „ლიტერა+" ჩაერთვება ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების „უცხო ენებისა და თარგმანის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციაში, რომელიც გულისხმობს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამამთავრებელი სასწალო წლის სტუდენტების პროფესიულ (საწარმოო) პრაქტიკაზე მიღებას, პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვასა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებაში მონაწილეობის მიღებას, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ვადითა და წესით;

2.3. შპს „ლიტერა+" უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობით რეალიზებად პროექტებში, მათ შორის სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, უნივერისტეტის სტუდენტთა შერჩევასა და მათ ჩართვას;

2.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფარგლებში შემუშავებულ პროგრამებსა და პროექტებში;

2.5. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მისი დაფინანსებით გამოცემული სამეცნიერო და პრაქტიკული ლიტერატურის თითო ეგზემპლარის უსასყიდლოდ გადაცემას შპს „ლიტერა+"-თვის;

3. მხარეთა უფლება/მოვალეობანი

3.1. მემორანდუმით გათვალისწინებული პროგრამების, პროექტებისა და ცალკეული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, გადაწყდება მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების ფორმით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

3.2. უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გავლისას შპს „ლიტერა+" უფლებამოსილია სასწავლო წლის დასაწყისამდე დაადგინოს პრაქტიკაზე მისაღები სტუდენტების კვოტა, აგრეთვე ჩაატაროს შესარჩევი კონკურსი, საუკეთესო სტუდენტთა გამოსავლენად; პრაქტიკის გავლის უზრუნველსაყოფად, შპს „ლიტერა+" გამოყოფს მენტორს, რომელიც ზედამხედველობს პრაქტიკის ობიექტში (მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47-ში) სტუდენტის საქმიანობას, უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელთან კოორდინირებულად.

3.3. სტაჟირების პროგრამაში უნივერსიტეტის სტუდენტთა ჩართვა ხორციელდება შპს „ლიტერა+"-ს მიერ დადგენილი წესით; ამ შემთხვევაში შპს „ლიტერა+"ატყობინებს უნივერისტეტს ასეთი პროგრამის განხორციელების დაწყებისა და პირობების თაობაზე.

4. დასკვნითი დებულებები

4.1.წინამდებარე მემორანდუმის შეცვლა, მოდიფიცირებაან შეწყვეტა ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

4.2. წინამდებარე მემორანდუმში სათაურებს აქვს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი და არ ახდენს გავლენას მემორანდუმის განმარტებაზე. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან, მხარეთა მიერ შეწყვეტის მომენტამდე.

მხარეთა რეკვიზიტები

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი	შპს „ლიტერა+" (ს/კ: 405137338)
_____	_____
შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი	შპს „ლიტერა+"-ს დირექტორი
ვალენტინა საყვარელიძე	ლიანა კოპალიანი
თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ#31	თბილისი, ვაჟა-ფშაველას 47
ტელ: (+995 32) 2 54 59 08	597 370 270
ელ–ფოსტა: thu-posta@thu.edu.ge	ელ–ფოსტა: pluslitera@gmail.com
ვებ–გვერდი: thu.edu.ge	